განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## „მექანიკის ინჟინერია"
## ბაკალავრიატი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

19 აგვისტო 2019 წ.
26 აგვისტო 2019 წ.

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 218083222 |
| დაწესებულების სახე | სასწავლო უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მექანიკის ინჟინერია |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ინჟინერიის ბაკალავრი მექანიკის ინჟინერიაში, 0715 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 257 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მამუკა ბენაშვილი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ვალერი ჯაჯანიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | სალომე ონიანი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამა "მექანიკის ინჟინერიის" შემუშავების საფუძველი გახდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნები, ინტერესები და პრიორიტეტები. საქართველოს თავდაცვის ძალების წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით დღის წესრიგში დადგა მექანიკის ინჟინერიის დარგის მცოდნე ოფიცრების მომზადება, რომელთაც ექნებათ შესაბამისი უნარ-ჩვევები მექანიკის ინჟინერიის ვიწრო სპეციალიზაციის მიმართულებით არსებული მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად. სწავლება საბაკალავრო პროგრამაზე სრულად ფინანსდება თავდაცვის სამინისტროს მიერ.

პროგრამის კურიკულუმი სრულად მოიცავს იმ აუცილებელი დიციპლინების ჩამონათვალს, რომელიც აუცილებელია, კვალიფიკაციის ,,ინჟინერიის ბაკალავრი - მექანიკის ინჟინერიაში" მისანიჭებლად. დამუშავებულია და პროგრამაში გათვალისწინებულია დასავლეთ ევროპული და ამერიკული ქვეყნების მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების გამოცდილება.

საბაკალავრო პროგრამა წარდგენილია შემდეგი ფორმით: საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე; პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი). პროგრამის მოცულობაა 257 კრედიტი. 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს. მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის ანალოგებიდან თავდაცვის აკადემიის პროგრამა განსხვავდება იმით, რომ იგი შედგება საერთო საჯარისო კურსებისგან 79 კრედიტისგან, რომლის ფარგლებში იუნკერებისთვის (სტუდენტებისთვის) გაწერილია სხვადასხვა აქტივობები მთელი დღის განმავლობაში.

პროგრამის კრედიტების მოცულობა შემდეგნაირადაა განაწილებული: **132 ECTS კრედიტი ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები,** მათ შორის:

**124 ECTS კრედიტი** - ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები (B სტატუსი) ;

**8 ECTS კრედიტი** - ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსები (C სტატუსი);

**125 ECTS კრედიტი თავისუფალი კომპონენტი,** მათ შორის:

**36 ECTS კრედიტი** - თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები (A სტატუსი);

**79 ECTS კრედიტი** - თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები, საერთო საჯარისო მართვა (E სტატუსი);

**10 ECTS კრედიტი** - თავისუფალი კრედიტი (D სტატუსი);

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შერჩეული ექსპერთთა ჯგუფის ვიზიტი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია (შემდგომში - აკადემია) განხორციელდა 19 აგვისტოს. ვიზიტი წარიმართა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად და აკრედიტაციის ჯგუფი შეხვდა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებს - სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, თვითშეფასების ჯგუფი, პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში წინასწარ შეთანხმებული განრიგის მიხედვით. აკრედიტაციის ჯგუფმა ასევე დაათვალიერა თავდაცვის ეროვნული აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; შემოწმდა ბიბლიოთეკა პროგრამაში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის ხელმისაწვდომობა. ასევე შემოწმდა ელექტრონული პორტალი და ელექტრონული სამეცნიერო თუ აკადემიური ბაზები. აკადემიამ უზრუნველყო ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა.“

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

**საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის პირველი სტანდარტი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა - როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან.** პროგრამის მიზნები შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან, მიზნებში აქცენტი სრულადაა გაკეთებული თავდაცვის ძალების და ქვეყნის ერთგული სამსახურისათვის უმაღლესი აკადემიური განათლების, ეთიკური, მტკიცე მორალის და ლიდერის თვისებების მქონე ოფიცერის ჩამოყალიბებაზე, ხოლო მიზნები მექანიკის ინჟინერიის მიმართულებით საკმაოდ ზოგადი და ბუნდოვანია. რაც შეეხება სწავლების შედეგებს, სასურველია მოხდეს მათი გამსხვილება, რათა უკეთ პასუხობდეს პროგრამის წინაშე არსებულ ამოცანებს და არ იქნას აღქმული, როგორც ერთი კონკრეტული სილაბუსის სწავლის შედეგი.

**საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მე-2 სტანდარტი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა - როგორც მეტწილად შესაბამისობასი მოთხოვნებთან.** პროგრამის სტრუქტურა სრულად განსაზღვრავს შესაბამისობას მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, თუმცა აღსანიშნავია თავისუფალი კომპონენტის „საერთო საჯარისო მართვა“ გაზრდილი ხვედრითი წილი, რომელიც მექანიკის ინჟინერიის სწავლის შედეგების მიღწევის განმაპირობებელი ფაქტორი არაა, პირიქით კრედიტების აღნიშნული რაოდენობის დაძლევა (79 კრედიტი) სტუდენტის გაზრდილი დღიური დატვირთვის წინაპირობაა. ამასთან მნიშვნელოვანია გაზრდილი იყოს იმ დისციპლინების მოცულობა, მასალათა გამძლეობა, თერმოდინამიკა და მანქანათა კონსტრუირება, რაც თანამედროვე მექანიკის ინჟინერისთვის წარმოადგენს საფუძველს. ზემოთ

აღნიშნული საგნების კრედიტების მოცულობების განსაზღვრისათვის უმჯობესია გამოყენებული იქნეს როგორც უცხოური ისე ეროვნული უნივერსიტეტების მექანიკის ინჟინერიის პროგრამები.

**საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მე-3 სტანდარტი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა - როგორც სრულად შესაბამისობასი მოთხოვნებთან.** იმდენად რამდენადაც აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა განკუთვნილია აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ,ბაკალავრიატის სწავლებისთვის, კომპონენტი 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ შეფასებულა სწავლების საფეხურიდან გამომდინარე.

**საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მე-4 სტანდარტი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა - როგორც მეტწილად შესაბამისობასი მოთხოვნებთან**. პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსი მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად და სტაბილურ ფუნქციონირებას. პროგრამის ბიუჯეტი არ ითვალისწინებს სამივლინებო ხარჯებს. ლაბორატორიული სწავლების მცირე მოცულობა ხელშეკრულებით წარმოებს სხვა უსდ-ს ბაზაზე.

**საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მე-5 სტანდარტი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა - როგორც სრულად შესაბამისობაში მოთხოვნებთან**. ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის მექანიზმებს, მასში დაგეგმილია პერიოდული მონიტორინგი და პროგრამის შეფასება, ისევე როგორც შეგროვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შემდგომი გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები.

**რეკომენდაციები**

- პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდეს უშუალოდ და უფრო მკაფიოდ მექანიკის ინჟინერიის მიმართულებით;
- გამსხვილდეს სწავლის შედეგები, რათა უშუალოდ პასუხს სცემდეს პროგრამის მიზანს და არ იყოს კონკრეტიკა სილაბუსის დონეზე;
- დაიხვეწოს სწავლის შედეგების შეფასების რუკა;
- შემცირდეს თავისუფალი კომპონენტის „საერთო საჯარისო მართვა" წილი პროგრამის საერთო მოცულობაში;
- გაიზარდოს მასალათა გამძლეობის, თერმოდინამიკისა და მანქანათა კონსტრუირების მოცულობა, დაემატოს პროგრამის კურიკულუმს კომპიუტერული პროგრამირების სწავლების ელემენტები;
- შეიქმნას აკადემიური პერსონალის ძირითადი ბირთვი, რომელიც აღნიშნული პროგრამის მდგრადი განხორციელების წინაპირობა იქნება;
- გრძელვადიან პერსპექტივაში მოეწყოს ის ლაბორატორიები აკადემიის ტერიტორიაზე, რომლებიც დღეის მდგომარეობით სხვა უსდ-ს ბაზაზე ტარდება;
- სასურველია დაკონკრეტდეს სასწავლო კურსის სილაბუსში სწავლის რომელი შედეგის მისაღწევად რომელი მეთოდი გამოიყენება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - პროგრამაში სასურველია მოიაზრებოდეს დამამთავრებელი ნაშრომი, რაც სტუდენტებს მცირე მოდელის რეალურ საქმიანობასთან მიახლოებული ნაშრომის შესრულების საშუალებას მისცემს;
  - პროგრამაში მითითებულ იქნას, რომელი უცხოური უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების გამოცდილებაა გაზიარებული;
  - სასურველია უცხო ენის კომპონენტი მოიცავდეს რუსულ ენას - მოსაზრებით, რომ ,,პოტენციური მოწინააღმდეგის ენა უნდა იცოდე“;
  - მოეწყოს სტუდენტების/პროფესორების გაცვლითი პროგრამები და კონფერენციები უშუალოდ მექანიკის ინჟინერიის მიმართულებით“;
  - გაიზარდოს საწარმოო პრაქტიკის მოცულობა კრედიტებში, სასურველია მინიმუმ 10 კრედიტი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>საბაკალავრო პროგრამის ,,მექანიკის ინჟინერია“ მიზნები წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემულია შემდეგნაირად:<br>○ მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მისიის შესაბამისად, თავდაცვის ძალების და ქვეყნის ერთგული სამსახურისათვის მოამზადოს უმაღლესი აკადემიური განათლების, ეთიკური, მტკიცე მორალის და ლიდერის თვისებების მქონე ოფიცერთა კორპუსი, უზრუნველყოს„ინჟინერიის ბაკალავრი მექანიკის ინჟინერიაში“ აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტების მომზადებათავდაცვის ძალების და ქვეყნის სამსახურისთვის.<br>○ პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებმა დააკმაყოფილონ საქართველოს |

თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნები, შეძლონ დასაქმება საქართველოს თავდაცვის ძალებში დაასევე სამოქალაქო სექტორში.

- კურსდამთავრებულები შეძლებენ სწავლის გაგრძელებას, როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე, იქნებიან კონკურენტუნარიანები, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, შეძლებენ წარმატებულ კარიერულ წინსვლას და თავისი შესაძლებლობების რეალიზებას, როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
- პროგრამა მოიცავს მექანიკის ინჟინერიის ყველა მნიშვნელოვან მიმართულებას. აქცენტი გაკეთებულია მექანიკის ინჟინერიის პრაქტიკულ შესწავლაზე, თანამედროვე და სამხედრო ტექნოლოგიებზე, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის კურსდამთავრებულთა მაღალ კონკურენტუნარიანობას, როგორც თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურებში, ისე საქართველოს და საზღვარგარეთის შრომის ბაზარზე.

პროგრამის მიზნები უნდა ასახავდეს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურდამთავრებულის მომზადებას ითვალისწინებს იგი, უსდ - ის მისიის, მიზნების და შრომითი ბაზრის კვლევის გათვალისწინებით. მიზნის აღწერისას ხაზგასმულია პროგრამის როლი ოფიცერთა მომზადების კუთხით, სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები და დასაქმების შესაძლებლობები, მაგრამ ბუნდოვანია თუ რა მიზნებს ემსახურება პროგრამა უშუალოდ მექანიკის ინჟინერიის მიმართულებით.
აქედან გამომდინარე პროგრამის მიზნები ბუნდოვანია, სასურველია იყოს უფრო მეტი კონკრეტიკა, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას უზრუნველყოფს პროგრამა უშუალოდ მექანიკის ინჟინერიის მიმართულებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ეროვნული თავდაცვის აკადემიის მისია;
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო;
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

- პროგრამის მიზნები მექანიკის ინჟინერიის მიმართულებით ჩამოყალიბდეს უფრო მკაფიოდ.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საბაკალავრო პროგრამის ,,მექანიკის ინჟინერია“ სწავლის შედეგები მოიცავს შედეგებს, როგორც მექანიკის ინჟინერიის მიმართულებით ასევე საერთო სამხედრო მომზადების მიმართულებით, რადგან პროგრამის მიზანი მექანიკის ინჟინერიის კვალიფიკაციის მქონე ოფიცრის მომზადებაა, ექსპერთთა ჯგუფის შეფასებით შედეგების მსგავსად წარმოჩენა მისაღებია.

პროგრამის სწავლის შედეგები მექანიკის ინჟინერიის მიმართულებით, საკმაოდ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი, რაც შესაბამისად აღნიშნული შედეგების კონკრეტიკას, აზრობრივ გამეორებას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია კონკრეტული სილაბუსის სწავლის შედეგზე დაყვანას უწყობს ხელს. ამასთან ზოგიერთი სწავლის შედეგი საკმაოდ ბუნდოვანია და არ იკვეთება მიმართულება, თუ რა კომპეტენციის შეძენას უზრუნველყოფს იგი. საკმაოდ ბუნდოვანია სწავლის შედეგი ,,დამოუკიდებლად გადაწყვეტს და პასუხისმგებლობით მოეკიდება მექანიკის ინჟინერიის სფეროს ამოცანებს“, რომელიც კურსდამთავრებულის ,,პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ განსავითარებლად გამოიყენება.

აკადემიას დამუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების შეფასების გეგმა, სადაც იკვეთება უზუსტობები სწავლის კონკრეტული შედეგის

გაზომვისას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და კურიკულუმის რუკა;
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო;
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

- გაუმჯობესდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- გამსხვილდეს და დაიხვეწოს სწავლის შედეგები, რათა შესაძლებელი გახდეს სწავლის შედეგების შეფასება;
- მოხდეს სწავლის შედეგებისა და მიზნების თანხვედრა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია პროგრამას დაემატოს დამამთავრებელი ნაშრომი და გაიზარდოს პრაქტიკის კომპონენტი, რაც სწავლის შედეგების მიღწევის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი იქნება.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|---|
| ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | √ | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ აბიტურიენტებს, რომლებიც დარეგისტრირდნენ მიმდინარე წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, რეგისტრაციისას აირჩიეს აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები და რომლებსაც მიმდინარე წელს არ უსრულდებათ 24 და მეტი წელი.<br>საბაკალავრო საგამანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა:<br>– ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენის, ზოგადი უნარების, უცხო ენის და |

მათემატიკის ჩაბარების შედეგები;

– ეროვნული თავდაცვის აკადემიის შიდა წესის შესაბამისად შესარჩევი ტურის გავლა (სამედიცინო შემოწმება, ფიზიკური ნორმატივების ჩაბარება და გასაუბრება).

აბიტურიენტს ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერის სტატუსის მოპოვება შეუძლია აგრეთვე ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყებამდე აბიტურიენტები გადიან საწყისი საბრძოლო მომზადების კურსს (BCT).
აბიტურიენტებისათვის აკადემიის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება ღია კარის დღეებზე, საზაფხულო სკოლებში და ასევე საშუალო სკოლებში ვიზიტების დროს. საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა გაწერილია პროგრამაში. აკრედიტირებული პროგრამები დევს ვებ. გვერდზე. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის უნარებისა და. ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამა

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა ინჟინერიის ბაკალავრი მექანიკის ინჟინერიაში. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

პროგრამა მექანიკის ინჟინერია“ მოიცავს 257 ECTS კრედიტს, რომელიც შედგენილია:

**132 კრედიტი ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები,** მათ შორის:

**124 კრედიტი** - ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები;

**8 კრედიტი** - ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსები;

**125 კრედიტი თავისუფალი კომპონენტი,** მათ შორის:

**36 კრედიტი** - თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები (A სტატუსი);

**79 კრედიტი** - თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები,საერთო საჯარისო მართვა;

**10 კრედიტი** - თავისუფალი კრედიტი;

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის “მექანიკის ინჟინერია“ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსები მოცემულია ლოგიკური თანმიმდევრობით, ზოგადიდან კერძოსკენ და მარტივიდან რთულისკენ. პროგრამის საგნობრივ დატვირთვაში მოცემულია ინფორმაცია სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობების შესახებ.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა

**რეკომენდაციები:** პროგრამაში გაიზარდოს მასალათა გამძლეობის და თერმოდინამიკა/თბოგადაცემის კრედიტები. ასევე მანქანათა კონსტრუირებაში მექანიზმების სტრუქტურული, კინემატიკური და დინამიკური ანალიზის საკითხები, პროგრამირებისა და ელექტრონიკის სწავლების მოცულობა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
|---|
| მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი კურსების სწავლის შედეგებს გაჰყავს პროგრამის სწავლის შედეგზე. დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ საბაკალავრო პროგრამის შენაარსი და მოცულობა შეესაბამება სწავლის საფეხურს და შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.სილაბუსების სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია კომპლექსურად. სასურველი იქნება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ამ შედეგების ჩამოყალიბება მოხდეს შემდეგი პრინციპებით: ერთი სწავლის შედეგი ერთ აქტიურ ზმნას მოიცავს; სწავლის შედეგები თვალსაჩინო და გაზომვადია; შესაძლებელია სწავლის შედეგების შეფასება სასწავლო კომპონენტის ფარგლებში, სწავლის შედეგების მიღწევა მოცემულ ვადებში და არსებული რესურსების პირობებში რეალისტურია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |
| ○ მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა<br>○ სასწავლო კურსები და სილაბუსები<br>○ გამოკითხვის შედეგები |
| **რეკომენდაციები:** |
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- იუნკერების კვლევით და პრაქტიკული საქმიანობაში ჩართვა ხორციელდება კონფერენციებში, რომელიც ტარდება აკადემიაში. აკადემიის პერსონალის ხელმძღვანელობით იუნკერები ამზადებენ პროექტებს მათ ინტერესის სფეროებში. ეროვნული თავდაცვის აკადემიის სპეციფიკიდან გამომდინარე იუნკერები სამოქალაქო განათლებასთან ერთად გადიან სამხედრო განათლებას, რომელიც ითვალისწინებს საველე სწავლებებს და პრაქტიკული უნარჩვევების განვითარებას უზრუნველყოფს. პროგრამა ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკას მექანიკის ინჟინერიის მიმართულებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- იუნკერის სასწავლო ცხრილი
- ინტერვიუები
- აკადემიის ვებ გვერდი

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია კონფერენციების თემატიკა მეტად შეესაბამებოდეს მექანიკის ინჟინერიის მიმართულებას

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

წარმოდგენილი საგანმანათლობლო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდები მრავალფეროვანია, აღნიშნული მეთოდები სრულ შესაბამისობაშია სწავლების საფეხურთან.

სასწავლო კურსის სილაბუსებში განსაზღვრულია სწავლის შემდეგი ფორმები: ლექცია, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და ლაბორატორიული სამუშაოები. შესაბამისად, მაგრამ არ ჩანს კონკრეტული თემის სწავლებისას რა მეთოდი

გამოიყენება.
სასურველია სასწავლო კურსის სილაბუსში უფრო გარკვევით იყოს მითითებული, რომელი თემატიკის შესაბამისია სწავლა-სწავლების კონკრეტული მეთოდი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მექანიკის ინჟინერია საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები;

**რეკომენდაციები:**

დაზუსტდეს სწავლა-სწავლების მეთოდები სასწავლო კურსის თემატიკის შესაბამისად

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
| --- |
| იუნკერთა ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. საბოლოო (შემაჯა-მებელი) შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებებს და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) აქვს თავისი პროცენტული წილი. დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა.<br>შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი განსაზღვრულია 30%-ით, დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი განსაზღვრულია 40%-ით. საერთო საჯარისო მართვის სასწავლო კურსების სილაბუსებში ზოგიერთი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი უფრო მაღალია, მაგრამ არაუმეტეს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნისა.<br>დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა იუნკერს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა. საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს.<br>იუნკერს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე სასწავლო კურსში - FX-შეფასების მიღების შემთხვევაში დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.<br>დაწესებულებაში მოქმედებს პროცედურები, იმ შემთხვევისთვის, თუ იუნკერს სურს შედეგის გასაჩივრება. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე იგეგმება ღონისძიებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ სილაბუსები;<br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები;<br>○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები; |
